გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й тильд. куп. Беро гр
Пурцхванидзе.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს ახალს პოლიციის უფროსს ამ სახლების ალნუსხვისათვისაც ეშველა რამე. ახირებული ნომერაცია აქვს ტფილისის სახლებს, არც რიგი ეტყობა და არც წესი. ერთს სახლს რომ მე-20 №-რი აწერია, მეორეს მე-39 აზის და ამას კარდა ისე ალთა-ბალთას არის გადაკარგული ეს ნომრები, რომ ადამიანმა ერთი საათი მაინც უნდა ათვალიეროს კედლები თავიდგან ბოლომდე, ვიდრე სადმე კუნჭულში არ მოჰკრავს გაშავებულსა და წამალგადარეცხილს თუნუქის ხელის გულის ოდენა ფიცარს ნომრისას, ასე რომ ძნელად თუ ამოიკითხავს. დიდად საჭიროა, რომ სახლები ხელ-ახლად ალინუსხოს, ახალი ნომრები გაკეთდეს და ერთს რომელსამე თვალ-საჩინო ადგილს დაიკრას, ასე რომ ადვილად სანახავი და დასანახავი იყოს და ადამიანი ყოველ სახლის ძებნას ორი და სამი დღე არ მოუნდეს ხოლმე.

*** ტფილისის ნასწავლსა და ცოტად თუ ბევრად შეგნებულს ხელოსნებს, როგორც ამბობენ, ფიქრად აქვთ შეადგინონ ამხანაგობა და ეცადონ, გაამრავლონ რიცხვი ნასწავლ და მცოდნე ხელოსნებისა ტფილისში. ამ აზრით, ამხანაგობას უნდა შეეწეობა აძლიოს იმ ყმაწვილებს, რომელნიც სახელოსნო სკოლაში სწავლობენ და უფრო ნიჭიერნი მათ შორის ჰგზავნოს რუსეთში თავის ხელობის ზედ-მიწევნით შესასწავლად.

*** დიდი შიში მოელის ქართლსა და, რასაკვირველია, კახეთსაც იმერეთისაკენ გავრცელებულის ფილოქსერის გამო. ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა ტფილისის გუბერნატორის გაფრთხილებამ დიდად დააფიქრა ქართლ-კახეთის მევენახენი· ვენახის პატრონები ჩივიან, რომ ძნელად თუ ავიცილებთ თავიდამ მაგ საშინელს ვაზის სენსაო. თუ კაცს და ვენახის შესამუშავებელს იარაღს გადმოჰყვება თან, შესაძლოა გადმოჰყვეს ყოველ გვარ ხილეულობას, ისერიმს, ხშირად ყლორტებიანს, რომელიც ქუთაისისკენ ადრე მოდის და რომელიც გულ-მოდგინედ გადმოაქვთ იქიდამ ტფილისში ბათუმელებსაო. თითქმის ერთის თთვით ადრე ჩნდება იქით ყოველივე ხილი, ბოსტნეული და ბაღეულობის ნობათი, რომელიც განუწყვეტლივ მოდის ქართლისკენაო და რა ძნელი იქნება, თუ ფილოქსერაც გადმოჰყვაო.

*** კახეთი: ყალბის ფულით ერთმანეთის მოტყუება კახეთშიაც შემოვიდა მოდად. ამას წინად კაბლის წისქვილებში ვიღაცას ეყიდნა პური და რამდენიმე ყალბი ფულიც შეეტყუებია გამოუცდელისა და უცოდინარის მეწისქვილეხათვის. ამ საქმის შესახებ გამომძიებელიც-კი მოვიდა ქალაქიდგან, დაიწერა რამდენისამე კაცის სახელი და გვარი და საქმე ძიებაშია ჩავარდნილი.

*** ქიზიყი: გურჯაანელების გარდა, რომელთაც უკვე გამართეს ქართული წარმოდგენა, ამ თთვის 22 სიღნაღელებიც აპირებენ ასეთს საქმეს მხოლოდ სასოფლო ბიბლიოთეკისთვის-კი არა, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ. წარმოსადგენად ამზადებენ ა. ცაგარლის კომედიას „ხანუმას".

*** ფოთი: პოლიციამ მიაქცია ყურადღება აქ შინაურ ოთხფეხ საქონელს, რომელიც უმწყემსოდ, უპატრონოდ დახეტიალობდა ქუჩებსა და სახლებ-ეკლესიების ეზოებში და დღე და ღამ მოსვენება არ იყო მათგან. ახლა გამოეცხადა მეპატრონეებს, მწყემსი, მენახირე დაიჭირონ და იმათმა ძროხამ, ხარმა და ცხენმა უწესოდ, ქუჩა-ქუჩა აღარ იაროსო. ცხადია, ფოთელებმა უნდა მიჰბაძონ ამ შემთხვევაში სხვა დიდს ქალაქებს: თუნდა, მაგალითად, ტფილისს, სადაც ბევრსა ჰყავს თხა-ძროხა, რომლისთვისაც პატრონებს ცალკე კაცი ჰყავთ დაჭერილი და იმას დაუდის საქონელი მინდორში საძოვრად.

*** იქიდამვე: აქ ზოგიერთნი შუშხუნა წყლების გამყიდველნი მეტად ჰუჭყიანს ყინულს ჰყიდიან ქერჩიდამ მოტანილს. პოლიციამ აღუკრძალა ასეთის ყინულის გასყიდვა და გამოუცხადა ასეთს ვაჭრებს, რომ, თუ გინდათ, ყინული იქონიოთ გასასყიდად, ქუთაისიდგან მოიტანეთ და ჰყიდეთ ხოლმეო. ურიგო არ იქნება, ჩვენმა ქალაქმა დაათვალიეროს კვირაში ერთხელ იმ ბაზარ დუქნების ეზოები, რომელიც სასეირნო ბაღისა და სასწრის პირ-და-პირ არის და რომელიც ძლიერ უსუფთაოდ ინახება. დათვალიერება ეჭირება აგრეთვე იმ საჭმელ დუქნებსა, ყავახანებსა, სადაც სადილები, სასმელ-საჭმელები მზადდება და სხვა-და-სხვა გვარი თევზეულობა იყიდება.

*** იქიდამვე: წრეულს რიგრიგით წვიმებია და რიგრიგით სიცხეები ფოთში, ასე, რომ შარშანდელზედ უფრო სიგრილეა წრეულს აქა. სიმინდები გვარიანი კარგია აქეთა და იმ პატარა სეტყვას, რომელიც ამას წინად იყო, სრულიადაც არაფერი დაუშავებია ქალაქის სიმინდებისათვისა. ადესას ყურძენს, ისრიმს, სადაც-კი მოიპოვება, აქეთ ფრიად კარგი მარცვალი აქვს და საკვირველადაც ასხია.

*** უწერა: დეპეშით გვწერენ იქიდამ, რომ უწერის წყლებზე პლატონ კორძაიამ მოჰკლა აბანოების პატრონი მეტრეველიო. ყოველ-დღე უსიამოვნება, ყოველ-გვარი უწესოება და თავ-პირის მტვრევაა; საზაფხულოდ მოსულნი ღვთის ანაბარად არიან დატოვებულნი. ფრიად საჭიროა, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და წესიერება და უვნებლობა ასე მრავლად აქ მოსულთა უზრუნველ-ჰყოსო.

*** სურამი: შესავსებლად იმ ცნობისა, რომელიც თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული ამ დღეებში, უნდა მოგწეროთ შემდეგი: ჩვენის მაზრის უფროსმა დაიბარა ძველი სოფლის მოხელე და უბრძანა, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩააბაროს ანგარიშები სურამის საზოგადოებისა ახლად ამორჩეულ მოხელესაო. მაზრის უფროსი უსიამოვნოდ დარჩა იმაზედ, რომ აქამდე არც დავთრები იყო გადაცემული,

## ფელეტონი

### ღური გიძია თომასი

მარტი

III

თქვენთვის არ ვიცი, ჩემო მკითხველო, და ჩემთვის-კი იმაზედ ძალიან სამწუხარო და გულის-მომწყვლელი არ არის-რა, როგორც მეგობრისაგან მეგობრის გმობა, მეგობრობის უარყოფა და დავიწყება. მეგობარზედ ტკბილ კაცისათვის ქვეყანაზედ არა არის-რა; იგი შენის სულისა და გულის ამაამებელია, მალამოა; იგი ერთადერთი მისამართია შენის სულისა და გულისა; მხოლოდ მას ეუბნები შენს საიდუმლოს, მხოლოდ იმან იცის შენის სულის ვითარება. ვნახოთ, უცბად ჩაგეფუშა ეს შენი შეხედულობა, მეგობარმა არ გაგიტანა, გული მოგიკლა, ისარგებლა შენით და საიდუმლონიც გაამჟღავნა! თუნდაც არ გაამჟღავნა, მაგრამ შენი აზრი აღარ გაიზიარა, შენი მიმართულება არ-ჰყო, რასაც ორნი სულითა დაგულით ეტრფოდით, ფეხ-ქვეშ ჩაიგდო და გაჰქელა. ესეც იგივე გმობაა; იგივე გამჟღავნებაა! ძნელი ყოფილა კაცის ცნობა, კაცის გაგება, მეტე ულ-წრფელ კაცისაგან, რომელიც ყველას წმინდა გულით უცქერისდა ყველა თავისავით გულწმინდა ჰგონია!! ტყუილად არ ამბობენ ხოვრებისაგან გამოცდილნი: „კაცი შიგნიდგან არის ჭრელი და გველი გარედგანაო." მართლაც, მე და ჩემმა ღმერთმა, მართლაც! მერე ეხლანდელს დროში ხომ ფარსაგს კაცს აგრე ადვილად ველარ იპოვნი; სწორედ ეხლაა საჭირო დიოგენის ფარანი, რომ ეგები ამითი მაინც ვიპოვოთ სადმე ბნელაში მიკუნჭული ნამდვილი ადამიანები. კაცი ვერ გიპოვნია, რომ აზრი მიანდო, გრძნობა კეთილ-შობილური განუზიარო. პოეტი ამბობს:

„კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა—„ძმობა, ერთობა",
და სიყვარულით აღვსილის გულით
დაერდომილთ მოყვასთ მოეხმარება".

საქმე ის არის, რომ სიტყვები ესმით, მაგრამ ასრულებაზედ-კი ძალიან უკაცრავად გახლავან. ისეთი ჭექა-ქუხილი გაისმის ზოგიერთებისაგან, რომ დიდის გოლვის შემდეგ ცაც-კი ვერ იჭექებს ისე. სიტყვებით ვასკვლავებს მოჰკრებენ ცაზედ, აქლემს რწყილს აშობინებენ და რწყილს აქლემსა, მაგრამ როდესაც სიტყვა უნდა საქმედ იქცეს, ჯაბანი დედალივით, რომელსაც განრისხებული მამალი ფრთებ ჩამოყრილი მისდევს, ჩაქუქდებიან ხოლმე და სულ განაბულნი ელიან ავდარის გადაელას.

ამისთანა დროს, ამისთანა ხალხში, წარმოიდგინეთ, მე მეგობრობაზედ ვლაპარაკობ, მეგობარს დავეძებ, ვწუხარ, რომ მეგობრობა აღარ არისმეთქი! რა მოცლილი ვარ და! ყველას თავისი თავი-ღა ახსოვს, თავის საკუთარი ინტერესები ამოქმედებს და ამოძრავებს; საზოგადო ინტერესები, საზოგადო საქმეები, ისე ძალითი-ძალად აღონდიალებენ ეხლანდელს ქართველს; ხანდახან გარემოება ისე მოეწყობა, რომ მეტი ღონე აღარა რჩება, თუ საზოგადო საქმეში არ ჩაერია, მაგრამ პირი-კი ტყისაკენა აქვს მიქცეული მშიერს მგელსავით. ეხლანდელი კაცი გმეგობრობს, ეხლანდელი კაცი საზოგადო საქმეში გაერევა, თვისის ერის ვარამზე ილაპარაკებს და იმის სარგებლობასა სცდილობს იქამდე, ვიდრე ეს საქმე ვისიმე თვალში თვისის თავის ასამაღლებელ კიბედ მიაჩნია, ისეთ კიბედ, რომ ამ ვისიმეს თვალმა მაღლა ააცოცოს და ქანდარაზე წამოსკუპოს. მაშინ-კი შაბაშ მეგობრობავ, შაბაშ საზოგადო საქმევ, მშობელო ერო და ქვეყანავ!!

— რასაკვირველია, ეუთხარი მე ჩემს მეგობარს ლუარსაბს, რომელსაც ჩემი დარდები განვუზიარე, როცა ჩემთან შემოვიდა: რასაკვირველია, ბევრი, ძლიერ ბევრი მიზეზი აქვს ჩვენს ასეთს დაქვეითებას, მაგრამ აღარა უნდა ეშველოს-რა?

— არა ეშველება-რა იქამდე, ვიდრე მიზეზს ძირიან-ფესვიანად არ გადმოვატრიალებთ, მამიგო მეგობარმა. ქედი ისე გაგვსქელებია, რომ ულელი აღარა გვტკენს; ტაბიკებს მხოლოდ ხამი მოზვერი ამტვრევს... შენ მეგობრობაზე სჩივი...

— ვსჩივი, დიაღ, ვსჩივი, ჩემო ლუარსაბ! აღარ არის... როცა კაცის მეგობარი მეგობარს ვერ გაიტანს, იგი ვერ გაიტანს ვერც თავის ხალხს, ვერც თავის ქვეყანას. ვეძებ ავთანდილს ტარიელისათვის, ვეძებ ჰორაციოს ჰამლეტისათვის და ვერ ვპოვებ. „სად არის კაცი?" კითხულობს გულ-დამწვრად მოხუცთ პოეტი და ამ მწარე საკითხავს თვითვე აძლევს გულ-საკლავს პასუხს: „მე არსად ვიცი"...

— ეე, შე დალოცვილო თომა, მიპასუხა ლუარსაბმა მწარე ღიმილით: ამდენი ხანი გიცხოვრია ქვეყანაზედ და მიკვირს მაგისთანაებს ლაპარაკობ: სად იპოვნი, შე დალოცვილო, ავთანდილს, როცა ტარიელები აღარ არიან; სად იპოვი ჰორაციოს, როცა ჰამლეტები არა გვყავს. სიტყვამ მოიტანა, ეხლა აღარც ავთანდილებია, აღარც ჰორაციოები; ბურთი და მოედანი ამ ქამად ხელთ უპყრიათ სულ-მდაბალ, მყრალს და წუწკს იაგოებს; მხოლოდ, ჩემო თომაო, განაგრძო ლუარსაბმა: ერთხელ დაგვბერა სიომ, რომელმაც მოჰფინა სუნი „ამო და ნელი"; მხოლოდ ერთხელ დაგვმღერეს:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემანგრე ჩვენისთანაო;
ყველგან გამოსადეგნი ვართ,
ყველგან და ყველასთანაო;
ლხინში მოლხინეს მოულხენთ,
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენსაც არ დავუვარდებით;
წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილთ.
ჩვენ ვიცით, რომ შველა უნდა
ულონოთა და დავრდომილთ"...

დიაღ, დაგვმღერეს ეს ერთხელ და კიდეც ასრულებდნენ; ეს მომღერალნი დღესაც-კი მღერიან, მაგრამ არც მოძახილი და არც ბანია. საბრალოა მარტო მთქმელი-და!

— იცი, რა გითხრა, თომაო, თავის ქნევით დაუმატა ლუარსაბმა, ამისთანა მიდებ-მოდებით ლაპარაკს თავი დავანებოთ. ყური დამიგდე, მე გიამბობ ერთის მეგობრის ამბავსა, ნიმუშს მეგობრობისასა.

ასე დაიწყო ლუარსაბმა:

„იყო და არა იყო-რა კი არა, იყო ერთი ღარიბზედ უღარიბესი, ღატაკზედ უღატაკესი, გლახაზედ უგლახესი, თავადიშვილი. სახელი ამ თავადისა არჩილი; მამა არჩილისა ელიზბარ დაღესტნის ომების დროს მდევრად იყო და ერთის ჯვარის გულისათვის უდროოდ დალია სიცოცხლე. მის ცოლს თეკლეს მუცლით დარჩა არჩილი; წვითა და დაგვით გამოზარდა და მოჩიტა პატარა არჩილი; მაგრამ ამ გამოზრდა-მოჩიტვას თავი უნდოდა, შეძლებას თხოულობდა; ქერივი მაზლებმა დასჩაგრეს; მამულებს ჩაუჭრეს; თეკლემაც მიჰყიდ-მოჰყიდა ყველაფერი, ფულად აქცია და შვილს ზდა დაუწყო სასწავლებელში. შვილმა „მანგლისის სკოლა" შეასრულა და პირადლებული მოვიდა შინ. კნეინა თეკლემ ქვეყანა შესძრა, შეაწუხა წუწუნითა და ტირილით, რომ ეგები ადგილი ეშოვნა რამე იმის პირმშო არჩილს. ბედმაც გაუღიმა. იმის შვილი მწერლად დანიშნეს ერთს კანცელარიაში; ხელი კარგი ჰქონდა; თთვეში ოც-და ხუთი მანეთი გაუჩინეს. გაკეთდა საქმე. სიღარიბემ და ობლობამ თვისი დაღი დაასვეს არჩილსა; ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხსა:

არც შემოსავალ-გასავლის ანგარიში გაკეთებული და გაწმენდილი. უფროსმა დაავალა აქაურს ბოქაულს, რომ ამ ერთის კვირის განმავლობაში უთუოდ გარიგებული იყოს საქმე და ძველს მოხელესა და სურამის საზოგადოებას შუა სადავო აღარა დარჩენილ იყოს რამე.

*** აფხაზეთი: ამ დღეებში დატრიალდა აქეთ შემდეგი უბედურება: 12 ივლისის ღამით თხის ჯოგი მთაზე დაბინავებული იყო ერთს მყუდრო დაბლობ ალაგას; იქვე გვერდზედვე გამოქვაბულში ღამეს ათევდნენ მწყემსი აფხაზები. შუაღამისას ჭექა-ქუხილთან ერთად კოკი-პირულად დაუშვა წვიმამ. მთიდამ უცბად წამოვიდა საშინელი ნიაღვარი, რომელმაც თან წაიღო ორასამდის თხა და ოთხი მწყემსი; ამ ოთხს მწყემსში ერთი გადარჩა მხოლოდ. გადარჩენილს რაღაც ხის ტოტისათვის მოეკიდნა ხელი და თავი შეემაგრებინა მეორე დღემდე. სოფელში ამან ჩამოიტანა მეორე დღეს ამბავი იმ საშინელის ღამისა. შეგროვდა საზოგადოება იმ სოფლისა, სადაურებიც იყვნენ დამრჩვალნი, ამოარჩია სამოცი კაცი და გაჰგზავნა დაღუპულების საძებნელად. სამივე დაღუპულნი გუფუს საზოგადოებისანი იყვნენ. ერთი ტკვარჩელის სოფლის მცხოვრები ტოტი არიშბაია, მეორე მისი შვილი შარათხვა არიშბაია და მესამეც გუფუს სოფლის მცხოვრები გოგუა. ერთი ამათგანი, ტოტი არიშბაია, იმავე გამოქვაბულში დალეკილი ნახეს მკვდარი, დანარჩენი ორი ჯერ ვერსად ვერ უპოვნიათ. ორას თხაში რამდენიმე, რასაკვირველია, დამრჩვალი, იპოვნეს ლალიძგას მდინარეში, ზღვიდამ ცოტად თუ ბევრად დაშორებულ სოფლების გვერდზე. ლალიძგა იმ მთის მახლობლად ჩამოდის, სადაც მოხდა უბედურება. 12 ივლისს, ღამით, საზოგადოდ ლალიძგა ძრიელ ადიდდა, მრავალი წისქვილი გააფუჭა, ყანაც ბევრი წაიღო და ორაგული-კი ბევრი ჩამოიტანა.

*** ვენის საანტროპოლოგიო მუზეუმის დირექტორ ფრანც ჰეგერისათვის ნება დაურთვიათ, რომ კავკასიაში იმოგზაუროს სამეცნიერო განზრახვით, თუმცა საარქეოლოგიო ნაშთთა აღმოსაჩენად მიწის თხრის ნება-კი არ მიუციათ. („Карсъ").

გაზ. «Карсъ»-სავე სწერენ ბაღდადიდგან, რომ ქაჯი-დერაბის დაბაშიაც რაღაც გადამდები ავადმყოფობა გაჩნდა, რომელმაც 4—31 მაისამდის 43 ავადმყოფში 21 იმსხვერპლა და შემდეგ, 1—5 ივნისამდის, ოთხს კაცს მოედო კიდევ, თუმცა ამათში-კი სიკვდილით არავინ მომკვდარაო. დაბას ჯარი შემოერტყაო. ჭირი ჯერ სხვა სოფლებში არ გადასულა.

*** გაზ. „Кав." სწერენ მუხროვანიდგან, რომ 21 ივლისს, დილის 11 საათზე, იქ ქ-ნ პერეკრესტოვამ საწამლავი დალია და ნაშუადღევის 2 საათზე გარდაიცვალა კიდეცაო. პერეკრესტოვა მუხროვანს აგარაკად ყოფილა ასხაბადიდგან მოსული, სადაც იმის ქმარი ხუროთ-მოძღვრადა მსახურობს თურმე.

*** ივლისის 22 მეოხე განყოფილების გამომძიებელს იოსებ სულხანოვს მუშტაიდის ბაღში სტოლზე 15 მანეთიანი ვერცხლის საპაპიროსე დარჩა და დაიკარგა. გამოძიება სწარმოებს. ქურდსა და დანაკარგს დაეძებენ.

*** შორაპნის მაზრის სოფ. მანდაეთის მცხოვრებელმა დავით მუმლაძემ გამოაცხადა, რომ 22 ივლის შქიდაობაზე ვიყავ და ვიღაცამ ჯიბიდგან 670 მან. ამომაცალაო. გამოძიება სწარმოებს. დამნაშავეს დაეძებენ.

*** სოფელ ზინდისის მცხოვრებელი სანდრო ცუცქირიძე, რომელმაც 19 ივლის თომა ცქიტიშვილს 168 სალირალი სხვა-და-სხვა ნივთეულობა მოჰპარა, სურამში შეიპყრეს. დანაკარგი ნივთეულობა-კი ტფილისშივე იპოვნეს და პატრონს დაუბრუნეს.

---

შეცდომის გასწორება: „ივერიის" მე-156 №-რი, წარსულის კვირა დღისა, ასოთა-ამწყობთა უყურადღებობით, სულ ერთიან გადარეულია, ასე რომ უცხოეთის ბოლო რუსეთისათვის მიუკერებიათ და რუსეთისა —უცხოეთისათვის მესამე გვერდის პირველ სვეტის რუსეთის უკანასკნელი სტრიქონი ფელეტონამდე გადადის მეოთხე სვეტის მე-31 სტრიქონზედ ზემოდგან, ხოლო უცხოეთის ბოლო-კი მესამე გვერდისავე მეორე სვეტშია დაბეჭდილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის" მე-155 №-ში დაბეჭდილია ბ. წერილი, რომლითაც იგი ჯერ გვაუწყებს, რომ ჩვენის ისტორიკოსის სახელობაზედ დაარსებულმა თანხამ ორას თუმნამდის აიწიაო და შემდეგ ყველას იმას ამჯობინებს, რომ ეს ფული ყოველ უწინარეს იმის ნაწერების ბეჭდვას მოჰხმარდებოდეს და მხოლოდ თხზულებათა დაბეჭდვის შემდეგ მიჰყონ ხელი ძეგლის აგებას, სტიპენდიის დაარსებას განსვენებულის სახელობაზედ და სხვ.

რასაკვირველია, იმის განხილვაში რომ შევიდეთ, რა უფრო ადრე უნდა გაკეთდეს ბაქრაძის სახელობაზედ,—ძალიან შორს წავალთ და ვერც თავის დღეში მოვულებთ ბოლოს ამ საქმეს,—მხოლოდ ამითი მე მსურს გამოვსთქვა სურვილი შემომწირველთა, რომელთა უმეტესი ნაწილიც ხშირად მომმართავს ხოლმე კერძოდ შეგროვილის ფულის მოხმარების თაობაზედ. ყველას აზრით თხზულების ბეჭდვას მივყობთ პირველად ხელს, თუ სტიპენდიას,—ეს სულ ერთიაო, რადგან ორივე ფრიად სასარგებლო საქმეაო, მხოლოდ საჭირო არის ყოვლის უპირველესად გადავდოთ ერთი 400 ან 600 მან. და ეხლავე აუგოთ ძეგლი და ამითი ვცეთ მას პირ-და-პირი პატივიო, —რითაც ხარჯს ავაცილებთ აგრეთვე მიცვალებულის სახლობას, რომელსაც მაშინვე ჰსურდა შესდგომოდა ძეგლის თადარიგს თავის ხარჯით, მაგრამ, და-აფლავების გამგეთა საზოგადოების სურვილისამებრ, გამოუცხადეს მიცვალებულის სახლობას, რომ ძეგლის დადგმას ჩვენ ვიკისრებთო... ჩემის აზრითაც, ეს ასე სჯობია სწორედ, რადგანაც ყოველ ეჭვს გარეშე შემიძლიან ვსთქვა, რომ ადრე თუ გვიან დ. ბაქრაძის თხზულებანი აუცილებლად დაიბეჭდება ოდესმე და ბაქრაძის ძეგლს-კი, თუ დარჩა ეხლა, შემდეგში დ. ყიფიანის ძეგლის ბედი არ ასცდება.

დ. ბაქრაძის დასაფლავების ერთი გამგეთაგანი ი. მრევლიშვილი.

## ნარევები

(ჟურნალ-გაზეთიდამ)

გაზ. „Русскія Вѣдомости"-ს სიტყვით, ამას წინად მოსკოვის ერთს თეატრთაგანში წარმოუდგენიათ ახალი პიესა ბ-ნის შჩეგლოვისა: „Турусы на колесахъ". აი რას ამბობს ზემოხსენებული გაზეთი ამ პიესის შესახებ:

მოქმედება სწარმოებს ჟურნალ „საპნის ბუშტის" რედაქციაში. ფარდის ახდის დროს რედაქციის მოსამსახურე ნიკიტა უცხადებს საზოგადოებას, რომ ამ ჟამად წიგნებში არაფერი კარგი არ იწერებაო. ამიტომაც თავ-რეტიანი მწერლები გაჩნდნენ, გაუსვამენ, გამოუსვამენ კალამს და კანტორაში მორბიან ფულის მისაღებადაო. ნიკიტას წინასწარმეტყველება სრულდება კიდეც. რამდენსამე წუთს შემდეგ რედაქციაში შემოდის თავრეტიანი მწერალი დურნოშაპოვი, ისე ირჯება, თითქოს თავის საკუთარს სახლში იყოსო, წვება დივანზედ და ბოლოს უწერს ახლად დაწყებულს მოთხრობას. დურნოშაპოვი სრულიად არა ჰგავს რომანების მწერალს ქალს ვიზგუნოვისას, რომელიც ჩვეულებრივ ღამე სთხზავს, მთვარის შუქზედ, ამას წერა და თხზვა დილიდგან საღამომდე შეუძლიან, ყველგან და ყოველ დროსა სწერს. ერთხელ ერთი მოთხრობა ხეზედაც-კი დაუწერა თურმე. «დიაღ, ხეზედ დავწერე კურხვის ხეზედაო, უამბობს იგი ვიზგუნოვისას: ერთის სოფლის მდებარეობა და სურათი უნდა ამეწერა, ხეზედ ავედი და იქ დავწერე მთელი მოთხრობა, დაწყება და დაწერვა ერთი იყო». დურნოშაპოვსა და ვიზგუნოვისას გარდა რედაქციაში დიდ-ძალი მუდმივი და შემთხვევითი თანამშრომელიც შედის და გადის და ამათში ზოგი ფულს თხოულობს ამ თავით, ზოგი იმას გაიძახის, რომ გინდა თუ არა, ჩემი წერილები საჩქაროზედ უნდა დამიბეჭდოთო. ბოლოს ამდენს აურზაურს და სეთქებას ველარ იტანს რედაქტორი სკუროდინი და გული მისდის. მოსამსახურე შემოდის და ჰკლავს თავ-რეტიანს თანამშრომლებს: „აგრე ნუ შემოუხვევინით გარშემო, დაიფანტენით, ნუ ამოაჩრჩვეთ კაცი, ხომ ჰხედავთ, რა გრადუსზედა დგასო!" აქ ფარდა ჩამოდის და ამითი ბოლოს უღებს საბრალო რედაქტორის სკუროდინის ტანჯვა-წამებას. შჩეგლოვს თავის პიესისათვის „ხუმრობა" უწოდებია, მართლაც და, ამ პიესაში ბევრი რამ მეტად სქელის ფერად წამლით არის დახატული და გაზვიადებული, მაგრამ ამასთან ბევრი ჭეშმარიტებაც მოიპოვება. როცა ერთი მოქმედი პირი ჰკითხავს რედაქციის მდივანს, ნუ თუ ჟურნალს შთამომავლობის მსჯავრისა არ ეშინიანო და მდივანი მრუდიანოვი უპასუხებს: „თქვენ-

---

„სიღარიბე და ობლობა—
ორივე მეტად ძნელია;
სიღარიბე სჯობს ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია".

არჩილს თითქოს თავადიშვილური აღარა ჰქონდა რა, მხოლოდ სახე თუ უმტკიცებდა მაღალს ჩამომავლობასა; იყო წყნარი და შვიდი, როგორც ზაფხულის დილა და კეკლუცი, როგორც გაზაფხული, მაგრამ ამასთან მუდამ წარბ-შეკრული და მოღრუბლული, როგორც შემოდგომის დღე. ჭრელი თვალები მუდამ გაშტერებული ჰქონდა, თითქო რაღაცას ელის, თითქოს რაღაც შეჩვენებას უპირებსო. ძალიან მუყაითი იყო თავის საქმისა; დიდად უყვარდა სხვა-და-სხვა წიგნის კითხვა. რუსულს ჩინებულად ტიკტიკებდა, ქართულზედ-კი ძალიან ქვეითად გახლდათ. ცხოვრებამ გამოსცადა. ხალხში მიდგა-მოდგა. შეატყო, რას ჰქონდა გასავალი და ცოტა ლიბერალობას მიჰყო ხელი, ამას თანდათან უმატა თითო-ოროლა გრანი მამულის მოყვარეობისა და თავის წრეში თავი იჩინა.

— წავიდეთ არჩილთან, ამაღამ წარმოგენაზედ არის ლაპარაკი; აჰხირებოდა, ამა-და ამ ღარიბის სტუდენტისათვის უნდა ვითამაშოთო.

— სად მიხვალ, ბიჭო!

— არჩილთან, არჩილთან. ამაღამ ლიტერატურული საღამო აქვს; მთელი ჩვენის პროვინციის „ინტელიგენცია" იქ არის ამაღამ თავ-მოყრილი".

ყველას არჩილი ეკერა პირზედ, ყველა არჩილთან მიეშურებოდა. ძალიან მოიგო „ინტელიგენციის" გული; თვალში რომ ჩავარდნიყო ვისმეს, ხელს არ ამოისვამდნენ და „ჰო შენმა მზემ"-ას ვერ გაუბედამდნენ ხათრით. იმისი სახლი ღია იყო გაჭირებულის ხალხისათვის.

— ბეჩა, ბეჩა! რა სიღარიბით გამოვზარდე ჩემი არჩილი, წუწუნებდა ხოლმე იმისი დედა კნეინა თეკლე. ღმერთმა ადგილი მისცა და, რასაც შოულობს და ჰპოულობს, სულ სხვებს აჭმევს; შემომირეკავს ტყაპუჭიანს ქედანებსა ოთახში, უწერავს ქაღალდებსა და ნეტა, თქვენის სიცოცხლით, ქაღალდის ფასს მაინც გამოართმევდეს ხოლმე. ამივსებენ ოთახს ნაგვით, მყრალის თუთუნის ბოლით, ხალიჩებს გამიპურჭყავენ და გასწევენ და წავლენ.

ერთხელ არჩილისას საღამო იყო დანიშნული; წაეკითხათ უნდა „დიმიტრი თავ-დადებული" და „თორნიკე ერისთავი". შეიყარნენ ყველანი და ან ვის შეეძლო არჩილის შიშით, რომ არ მისულიყო მოსასმენად.

— აბა, ჩვენო ნოეს მტრედო, მიუბრუნდა არჩილი ერთს ახალგაზდას, რომელსაც ის-ის იყო შეკოკრებიყო წვერ-ულვაში და ბალანი მოლივით მოჰფენოდა პირზედა: შენ უნდა წაგვიკითხო «დიმიტრი თავდადებული» „და თორნიკე ერისთავი". ახალგაზდა, „ნოეს მტრედად" წოდებული, ძალიან მალხაზი და ცქვიტი იყო; სათვალეებს ხმარობდა და მუდამ მას ეთამაშებოდა; ყოველთვის და ყოველგან კრების სული და გული იყო; სწრაფი, ფხიზელი მოლაპარაკე გახლდათ; იმის სიტყვა-კაზმულსა და მოსწრებულს ლაპარაკს ყველანი შეფრფინვით ისმენდნენ. სადაც შევიდოდა ხოლმე, სიხარულს და სიამოვნებას შეიტანდა; რამე ახალს ამბავს მიუტანდა ამხანაგებს და ამიტომაც ამხანაგებმა „ნოეს მტრედი" უწოდეს. „ნოეს მტრედი" თავის წლოვანების დაგვარად ძალიან ნაკითხი ბიჭი იყო, ამასთან ნიჭიერი და ერთობ მარილიანი მკითხველი.

მოჰკიდა „ნოეს მტრედმა" არჩილისას, ზემო აღნიშნულს ლიტერატურულს საღამოზედ, წიგნს ხელი და ყველანი სმენად გარდაიქცნენ:

«რა მისი განხდა ხმა არეს,
მყისვე დადუმდა ყოველი»

— ყმაწვილებო, რა დიდებული სახეებია დახატული ჩვენ წინ ჩვენის დიდებულის პოეტებისაგან, დაიწყო არჩილმა ლაპარაკი, სიტყვები აზვირთა და დრეკა დაუწყო მთელს თვისს სხეულსა. რამდენი დიმიტრისთანა მეფე, რამდენი თორნიკესთანა წარჩინებული სარდალი, რამდენი დიდ-ბუნებოვანი კაცი ამშვენებს ჩვენს ისტორიას, ჩვენს სისხლით მორწყულს ქვეყანას, ჩვენს „შავ დროთა". ობოლ, „ხელის-ხელ" საგოგმანებელ მარგალიტივით" გაბნეულნი არიან ეს დიდებულნი კაცნი ჩვენის ისტორიის ამოდენ ერთა სიერცეზედ და დღეს ციცინათელასავით გვინათებენ ბნელს წყვდიადს ჩვენის სისხლით მორწყულის წარსულისას. თუ გვინდა ჩვენ ჩვენი თავი ვიცნოთ, უნდა მივმართოთ წარსულს, ფენიქსებრ წამოვაყენოთ იგი და გავაცნოთ აწყმო თაობას. ამ საქმეს დიდი შრომა, დიდი ჯაფა, დიდი შეძლებაც ესაჭიროება, მაგრამ არა უშავს-რა, პატარიდგან შევყვეთ და დიდამდის მივაღწევთ; პოეტს უთქვამს, რომ „თვით ზღვაც ერთად თავ-მოყრილ წვეთით შემდგარაო". ჩვენი მწერლები, ჩვენი პოეტები, თუ იმ გაბნეულს მარგალიტებს ჩვენის ისტორიისას აგვიმარცვლიან და გარდაჰქმნიან დიდებულ და ერთიან ალმასად, როგორაც არიან აწ ჩვენგან წაკითხულნი ქმნილებანი პოეტთა, და ამაყ მამალსავით მარგალიტს ქერის მარცვალს არ ანაცვლებენ,—დიდს ღვაწლს გაუწევენ სამშობლო ლიტერატურას, სამშობლო ხალხსა, მოზარდს თაობას, რომელიც, უეჭველია, ხარბად დაეწაფება მშვენიერს სურათებს ჩვენის ისტორიისას, კეთილ-შობილურს გრძნობებს გაიღვიძებს და დაიმყარებს, არა ერთხელ და ორჯელ აიტოკებს და აიძგერებს გულის სიმებსა. ასე სჭექდა და ჰქუხდა ამ საღამოს ბ. არჩილი.

— ამიტომ ძალიან საჭიროა ჩვენის წრისათვის, ჩაუმატა „ნოეს მტრედმა": რომ ისტორიული საღამოები დავაწესოთ; რაც შეიძლება, ბევრი ხალხი უნდა გავრიოთ ამ წრეში; აგრეთვე ჩვენი ქალებიც გაურიოთ, ქალები, რომლებიც ერთობ ჩამორჩომილნი არიან ყოველისფერში და მარტო ჰორიკანობასა და ერთმანეთის კილვა-კიცხვაში ატარებენ დრო-ჟამსა. ბევრი რამე შეუძლიან ორ-სამ კაცსაც, თუ გული-გულობს; უბედურება ჩვენი ეს არის, რომ ლაპარაკში წაგვივიდა ძალა; როცა საქმეზედ მივარდება, ზოგს ალთას გაურბის ცხენი, ზოგს ბალთას. მე კიდევ ერთი სენი შევნიშნე ამ ჩვენს ახალგაზდობას, ისეთი სენი, რომელსაც ეხლავე თიადორის თესლივით ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოფხვრა. ეს სენი არის შური. ერთი რომ დაიწყებს რაიმე კეთილს საქმეს, სინიდისიანად მისდევს მას და პირ-წმინდად უნდა გაიტანოს ბოლოში, მეორე ხელს უშლის, ქვეყანაში ათას გვარს ცილსა სწამებს, უტრიზავებს საქმეს და სცდილობს გული აუცრუოს სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმით, ენის სარსალითა და ჭორებით. იქნება ეს არ ჩაიდინოს, მაგრამ იმას მაინც იზამს, რომ საზოგადო საქმეში ხელი არ მოგიმართოს, ჩუმ-ჩუმად აქეთ-იქით შენზედ ცუდი ილაპარაკოს და ამით ხალხის თვალში თავი მოგჭრას. ერთი კიდევ: თუ ჩვენთაგანმა სამსახურში რაიმე თითზედ გადასახვევის ოდენა წარმატება მიიღო,—ერიჰაა! მშვიდობით, ცეცხლო ლიბერალობისავ, მშვიდობით, სიყვარულო ერისა და ქვეყნისადმი! ნელ-ნელა ჩაანელებს ყველა ამას და ტკიპად ჩააჯდება იმას, ვისზედაც წინად ისე გულ-მტკივნეულად, ისე ზარითა და ზათქით ჰღაღადებდა. კაცი ყოველს შემთხვევაში კაცად უნდა დარჩეს.

— ცოტა გაზვიადებით ლაპარაკობს ჩვენი «ნოეს მტრედი», მაგრამ შურით-კი არ მოსდის, არამედ მითი, რომ ყველას უნდა საქმის გაკეთება...

...ვე დამეთანხმეთ, ყოველ-კვირეულ ჟურნალის რედაქტორს რა ეშთამომავლებაო"? ამ სიტყვაში აშკარად ჰკიცხავს, სამართლიანადა ჰკილავს ავტორი ჩვენის დროს სალიტერატურო ზნე-ჩვეულებას. როცა ადამიანი დურნოშაპოვის უსირცხვილო ლაპარაკს უგდებს ყურს, რომ ჩემს მოთხრობაში მოვაქცევ ხოლმე ყველაფერს, რასაცკი ქუჩაში, ან სტუმრობის დროს გავიგონებო, კვლავ უნებურად ებადება თავში, რომ ამისთანა მთხზველი და მწერალი მართლა-და არა ერთია და ორი ჩვენშიო.

**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ვიღაც ასისთავი პეშკოვი რუსეთიდგან ცხენით პარიჟის გამოფენაზედ წავიდა და უკან დაბრუნდა და ამით მთელს რუსეთში სწორედ სათაყვანებელ კერპად გაიხადეს, თუმცა მაგდენი ვერაფერი გმირობაა ცხენით დაარხეინებული გასეირნ-გამოსეირნება. პეშკოვის ამბავს ზოგიერთმა გონიერმა გაზეთმა ნამდვილი ფასი დასდო და სხვებსავით აღტაცებაში არ მოვიდა, მაგრამ ზოგთ-კი ისე გააზვიადეს, თითქოს ამერიკა აღმოეჩინოს ამ კაცსაო. პეშკოვისთანა ამბავი თითქმის ყოველ თთვე და წელიწადსა ჰხდება და არავინ-კი არ აზვიადებს. მაგალითებრ, ჩვენი ციმბირში გაგზავნილი ავაზაკები ხშირად იპარებიან, იქიდგან ჩინეთში გადადიან ფეხით, ჩინეთიდგან სპარსეთში მოდიან და სპარსეთიდგან-კი ისევ კავკასიაშივე ბრუნდებიან. ერთს ამისთანა დიდის მანძილის გავლის ამბავს აი ეხლა კიდევ გაზ. „Одесскій Вѣстникъ"-ი მოგვითხრობს. გაზეთი ამბობს, რომ ამას წინად საიმპერატორო მართლმადიდებელ პალესტინის საზოგადოების რწმუნებულმა მ. ი. ოსიპოვმა გადმოგვცა, რომ ამ რამდენისამე თთვის წინად ჩემთან ერთი მოხუცებული კაცი მოვიდა და ბარათი მთხოვა წმიდა ქვეყანაში თავისუფლად მოგზაურობისა.

— რა გქვიან, მამილო? უკითხავს რწმუნებულს.

— ნიკანორი, ბატონო, სახელმწიფო გლეხი გახლავართ.

— მამაშენის სახელი რაღა იყო?

— ივანე.

— გვარი.

— გვარი... დამავიწყდა, თქვენო კეთილშობილებავ... პასპორტში მიწერია...

— სადაური ხარ.

— იმიერ-ამურის მხრის ქალაქ ვლადივოსტოკიდგან.

— მერე-და ოდესამდე როგორ მოხვედი?..

— ჰმ... ფეხით გიახელით...

— რაო!.. ფეხით?.. მერე-და რამდენს ხანს იარე?

— ორი წელიწადი და შვიდი თთვე, ბატონო...

— რამდენის წლისა ხარ?

— სამოც-და-თხუთმეტისა გახლავართ.

აი, თუ საკვირველია ვისიმე მოგზაურობა და დასადათვნავი, ისევე ამ მოხუცისა და არა პეშკოვისა...

# რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამთო დეპარტამენტს ცნობა მიუღია ურალის სამთო ქარხნების უფროსისაგან, რომ ვერხოტურის მახლობლად ორმა გლეხმა, თევდორე ლიხანოვმა და ელისე ბელოუსოვმა, მდიდარი მადანი აღმოაჩინეს პლატინასიო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ კასპიის ზღვის მახლობლად, კავკასიის ქედის ძირ-ძირ კანაფის მოყვანა სცადონ. ეს მცენარე 100 დღეში იზრდება, ღერო სიმსხოთი $1^1/_2$ ფუთამდე აქვს და დაძაფვის დროს 16 საჟენამდის გამოდის.

— უკანასკნელის ტირაჟის დროს 40,000 მან. მოგება იალტელს თათარს ქურთ-ბულათ-მამედ-ოღლისა რგებია. ეს კაცი არაფერს სამსახურში და ხელობაზე არა მდგარა, მხოლოდ იალტაში საზაფხულოდ მისულებს აქეთ იქით დასდევდა, ემსახურებოდა და მარტო იმათის ნაჩუქარის ფულითა სცხოვრობდა. ერთის ქალბატონისათვის ისე ესიამოვნებინა თავისის სამსახურით, რომ საჩუქრად ეს მომგები ბილეთი მიეცა, რომლის წყალობითაც ეხლა 40,000 მან. პატრონი შეიქმნა.

— ამას წინად ტეშლევის მაზრის სოფ. კლაიმაში ერთს გლეხს საზარელი ავაზაკობა ჩაუდენია. ამ გლეხს გვარად ანტონ გრუშასს, დიდის ხნის დავა ჰქონია თავის ძმა ანტონთან მამულის თაობაზე. ამ ბოლოს დროს სასამართლოს გადაუწყვეტია, რომ მამული ორივეს გეკუთვნით და ერთად ისარგებლეთო. მოწმად სასამართლოში ყოფილან გრუშასის მეზობელი გლეხები, ლეონ მინეისკი და მიხეილ შავდინასოვი. როცა სასამართლოს თავის განაჩენი გამოუცხადებია, ანტონს მოწმეები შინ წაუყვანია და უთქვამს, კარგად მოგეხსენებათ, რომ მე ჩემს ძმასთან ვერ მოვეთავსდები და ამიტომ ან იმან შეისყიდოს ჩემი ნაწილი, ან მე შევისყიდი იმისასო, საქმე თქვენ გაარჩიეთ შინაურულად და, რასაც გადასწყვეტთ, მეც ყაბულს გავიხდებითო. შავდინასოვს და მინეისკს ერთი მესამე კაციც მოუწვევიათ და საქმე უფრო ოსიპას სასარგებლოდ გადაუწყვეტიათ, ვიდრე იმის ძმისა. მადლობას მოგახსენებთ, უთქვამს მშვიდობიანად ანტონს, რომ კარგად მოგვარიგეთო და არაყი მოურთმევია სტუმრებისათვის, თვითონ-კი პატარა ხანს ბოსელში გაბრუნებულა, საქონელს თივა უნდა დაუყაროვო. სტუმრები შესდგომიან არაყის სმას და თვით ანტონს-კი პირიც არ დაუკარებია. არ გასულა დიდი ხანი, რომ შავდინასოვს და მინეისკს გულის რევა მოსვლიათ და თავს ბრუ დასხმიათ. მინეისკის იქ სუფრაზედვე დაულევია სული, შავდინოვს-კი შინამდის მოუსწრია მოსვლა, მაგრამ ამასაც ის დღე დასდგომია, რაც მინეისკსა. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ორივენი მოწამლულნი ყოფილან. თვით ანტონ გრუშასიც ლოგინში უნახავთ, მეც ავადა ვარო, მაგრამ მკურნალებს შეუმოწმებიათ და უთქვამთ, რომ არა სტკივა-რა და ტყუილად იგონებსო.

— არა ნაკლები მხეცობა ჩაუდენია ბელოსტოკშიაც ერთს იქაურს მკურნალს გრანოვსკის. ვიღაც პატარა ებრაელი ყმაწვილი, ესე 12 წლისა, სამუშაოზე მიდენილა და როცა გრანოვსკის სახლთან გაუვლია, იმის ბაღში გადაუხედია. შეპარვით-კი არ შეპარულაო, ამბობენ თურმე ბევრნი. ასე ყოფილა, თუ ისე, გრანოვსკის ბავშვი დაუჭერია, ჯერ თავლაში დაუმწყვდევია და შემდეგ სარდაფში შეუგდია. მისულა ამ ყმაწვილის დედა, დაუწყია ტირილი, ვედრება და ხვეწნა-მუდარა და ძლივ-ძლიობით გამოუშვებინებია თავის შვილი. მაგრამ ისეთნაირად გამოსულა საწყალი ყმაწვილი, რომ დედას ველარ უცვნია. შეუბრალებელს გრანოვსკის ლოყებზე სამ ადგილას ჯოჯოხეთის ქვით დაეწერა და ამოეწვა ებრაულად, გერმანულად და რუსულად ქურდი, ქურდი, ქურდიო! ცხვირზედაც რაღაც სურათები გამოეყვანა და ულვაშებიც დაეხატა. ცხვირის კანტელა მთლად დამწვარი ჰქონია საწყალს ბავშვსა და ისე დამახინჯებულა, რომ კაცს შეჰზარავს თურმე იმისი ნახვა.

— დაბა ახალს ოდესაში ადგილობრივს მთავარ-დიაკონს თავი ჩამოურჩევია თავლაში. ხელში ბარათი სჭერია, რომელშიაც წერებულა, რომ ჩემმა მღვდელმა სიმონ კ—მ და დიაკვანმა ვ—მ მომაკვლევინეს თავიო, მემტერებოდნენ, ილაჯი გამიწყვიტეს და ბოლოს ისე გამიხადეს საქმე, რომ ულუკმა-პუროდ დამტოვესო. ეს უბედური 50 წლისა ყოფილა, თავის სამსახურს გარეთ სხვა არაფერი შემოსავალი არა-ჰქონია-რა და იმისი ცოლი და 6 სული წვრილი შვილი ეხლა სრულიად უსაზრდოოდ დარჩენილა.

# დეპეშა

21 ივლისი

ლონდონი. ამ ბოლოს დროს დიდი დეპეშის მიწერ-მოწერაა ბერლინსა და ვენას შორის ბოლგარიის საქმის შესახებ, აქ იმ აზრისანი არიან, რომ დიდთა სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ ეს საქმე მორიგებით დაბოლავონ, ისეთის მორიგებით, რომ რუსეთიც კმაყოფილი დარჩეს და ავსტრიაცაო.

ბელგრადი. იმ ხმების წინააღმდეგ, რომელიც ევროპის გაზეთებმა გაავრცელეს მილანის წყალობით, მიტროპოლიტი აცხადებს, რომ საეკლესიო კანონების ძალით მეფის განქორწინების საქმე მხოლოდ სამღვდელოთა კრებას შეუძლიან გაარჩიოს და გადასწყვიტოსო; რადგან საქმე კანონიერად არ იყო წარმოებული, ამიტომ სამღვდელოთა კრებამ უარჰყო განქორწინება და ამის ოქმი უვლა მღვდელ-მთავრის მიერ ხელ-

---

— ესე იგი ყველას უნდა პირველობა რაღა! ძალიან კარგი, მაგრამ ყველას პირველობა არ შეუძლიან, ეს პირველები უმაღლესის ნიჭით უნდა იყვნენ მიმადლებულნი; ყველას არა ხვდება ეს ბედი, მაშასადამე, როდესაც ვხედავთ ამისთანა კაცებს, უმაღლესად მიმადლებულებს ძლიერის სულით, გზა არ უნდა შეუშალოთ, ხელი არ უნდა მოვუცაროთ, მხოლოდ გვერდს უნდა ამოუდგეთ და გული, ისედაც ძლიერი და ავსავსე ყოველის კეთილით, გავუმაგროთ... იპირველონ ყველამ, თუ ძალი შესწევთ ქაძილს, მაგრამ ვაი, რომ მარტო ქაძილია და ძალის ნატამალიც-კი არსადა!..

ყველა გაჩუმდა, ყველას ეპაშნიკა ახალგაზდა კაცის სამართლიანი ლაპარაკი. ღამემ გაჰყარა ტკბილად მოუბარნი; ყველანი თავ-თავისად წავიდნენ. გამოსალმებისას არჩილმა განუმეორა, რომ შემდეგშიაც შეეყარნეთო.

— მართლა, საშა, საშა! დაუძახა არჩილმა ერთს ამხანაგთაგანს; ბიძაშენ გენერალთან რომ დაგაბარე იმ დღეს სიტყვა, რა ჰქენი.

— კინაღამ არ დამავიწყდა! უთუოდ იმ ადგილს მოგცემენ. მალე შეგატყობინებ.

— რას წაგელაპარაკა, ჰკითხეს საშას გზად მიმავალმა ამხანაგებმა.

— ადგილს შოულობს, ბიძა ჩემი დაჰპირდა.

— იქნება გეწყინოთ, არ გესიამოვნოთ, მაგრამ ჩემი ეჭვი უნდა გამოვსთქვა არჩილის შესახებ, სთქვა „ნოეს მტრედმა", უნდა გამოვსთქვა იმიტომ, რომ ეს ეჭვი გულს მიღრღნის, სულს მიწოვს: ეგ არჩილი გულით არ მოქმედებს, მაგას არც ჩვენ ვეპრიანებით რადმე, არც მამული, არც ერი და არც ბერი. ეგ ამისთანა ლაპარაკით მხოლოდ თავის საქმეს იჩალხავს და იკეთებს. კაცი უნდა კაცად დარჩესმეთქი, წელან რომ ვსთქვი, ეს მათრახი არჩილისკენ მოვიქნიე. მინამ მწერლად ეგდო, კარგი იყო, ახლა ცოტა ზემოდ აიცივს და ხალხს ისე ცივად ექცევა, რაღა მოგახსენო. იმ დღეს ერთს მოსამართლეს ელაპარაკებოდა თურმე, როგორც მამაჩემმა მითხრა, რომ ქართველი ხალხი დაღუპულია, ტყუილად ჩხავიან და რაღაცას ეპოტინებიან თავის შესამაგრებლადაო.

— მე ეგ დიდი ხანია ვიცი, მაგრამ თქვენ ვინ რას დაგაჯერებთო, უპასუხნია იმ მოსამართლეს, რომელსაც თურმე ძალიან შეუყვარებია არჩილი და კარგს ადგილსა ჰპირდება. აი თქვენი ნაქები არჩილი რვებს სჩმახავდაო, ყვედრებით მითხრა მამაჩემმა.

— არა შვილო, მანგლისში, „ფელდფებლებთან" გაზრდილი, რა შვილი გამოვიდოდა, სთქვა ერთმა.

— არა, მაინც ერთი კბილზედ კიდევ ვიკრათ; იქნება იქით ისე აჩვენებს თავს, იქით თეთრს კბილსა და შავს გულს უჩვენებს, აქეთ-კი თეთრს გულსა და შავს კბილსა, სთქვა „ნოეს მტრედმა." ვნახოთ, მოვიცადოთ და გავიგებთ.

— თავში ქვა იცეს, რაც უნდა ჰქნას, მაგაზედ ხომ არ მოყრილა ჩვენი ქვეყანა, სთქვა საშამ.

— არა, საქმე მაგაში არ არის, ჩემო მეგობარო! ღმერთმა დაგვიხსნას იმ უბედურებისაგან, რომ ჩვენი ჭირი და მისამართი ეგ იყოს, მაგაზედ მოიყაროს ქვეყანა. არა, თითონ ასეთი მოვლენაა ცუდი და სავაგლახო. თუმცა, იმის თქმისა არ იყოს, „ფელთფებლებშია" გაზდილი, მაგრამ ნიჭიერი კაცია; იქ გაზდილა, მაგრამ ნიჭი არ შეუჩერებია და თითქმის იმათ დასწევია, რომელთაც რიგიანი სწავლა-განათლება მიუღიათ; ამისთანა ნიჭიერთაგანნი ნელ-ნელა რომ ჩამოეცალნენ ჩვენს პატარა წრეს ინტელიგენციისას, რას ეგვანება. ამის მაგალითს ბევრს ვხედავთ. ჩვენი ცხოვრება დღეს ისეა მომართული, რომ ამისთანა მოვლენა აუცდენელია; ამას სწავლა-განათლებაც უმართავს ხელსა; „ჩინოვნიკობას" იქით კაცს გზა არა აქვს. ეხლანდელი სწავლა-დამთავრებული არაფერში გამოსაყენებელი არ არის, თუ არა „ჩინოვნიკობაში". მაშ არჩილისთანებმა რაღა ჰქმნან. როგორც გვესმის, არჩილიც აპირებს, შექსპირის არ იყოს, „მუხლის თავები ხშირის მოყრით შემოიცვითოს იქ, სადაც ლაქუცს სასყიდელი მოელის რამე". აბა საკადრისია იმისაგან, ელაქუცოს ვიღაც მოსამართლეს, რომ სასყიდელი მიიღოს რამე. ლაქუციც რაში მდგომარეობს-და! იმის კისკისსა და უარყოფაში, რაც-კი კაცურის კაცისთვის წმიდა წმიდათაა, ყველაზედ უძვირფასესი საუნჯეა.

—

ახალგაზდა კაცს, „ნოეს მტრედად" წოდებულს, თვისი ეჭვი გაუმართლდა. არჩილ ელისბაროვიჩმა, თავადმა ჰრელაძემ, ასე ეძახიან დღეს არჩილსა, დიდი ადგილი მიიღო. უფროსია საკუთარის განყოფილებისა; უფროსობს შიგ შუა გულს საქართველოში. მისი დედა გადარეულია სიხარულისაგან, მხოლოდ ერთი სამდურავი აქვს შვილთან, რომელსაც არ უცხადებს და გარედ, მეზობლებში-კი, ჰლაპარაკობს: იმის პირმშო შვილმა არჩილმა რუსის ქალი, პროსკოვია მიტროფანოვნა, შეირთო. ღვთის წინაშე, იმას-კი არა სწუხს, რომ პროსკოვია შეირთო; იმასა სწუხს, რომ ჩემი იმას არა ესმის რა და იმისი მე. ამ ცის ამარია დღე მუნჯიეთით ვზივარ და მზარეულს კალისტრატეს თუ გამოველაპარაკები ქრისტიანულადაო.

არჩილი გასამტყუნარი არ არის; ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ პროსკოვია მიტროფანოვნა არ შეერთო: თუ შეირთავდა, ზედ კისერზედ უფროსობასაც დააყოლებდნენ; საქმე ისე იყო და! არჩილმაც იყვინთა, დაიყურყუმელავა ცხოვრების მორევში და ის იყო და ის, ყველას მოსწყდა გულიდამ და თითონაც ყველა მოიწყვიტა გულიდგან.

ერთხელ იმ ქალაქს, სადაც მათი ბრწყინვალება კნიაზი არჩილ ელისბაროვიჩი სცხოვრობდა, მოხვდა ჩვენი „ნოეს მტრედი". ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა და მოინდომა აღრინდელის არჩილის და აწინდელის „არჩილ ელისბაროვიჩის" ნახვა. მივიდა, თავისებურად მოურიდებლად ეცა კარებს; კარი დაკეტილი დახვდა; ფათა-ფუთზედ ბიჭი გამოვარდა.

— ვინ გნებავთ?

— არჩილი, და მიაწვა კარს.

— მოითმინეთ, აგრე არ შეიძლება; მე ნაბძანები მაქვს, „უდაკლადოდ" არავინ შევუშვა. „ნოეს მტრედს" ეოცა ეს ამბავი.

— იქნება აქ სხვა ვინმე დგას, იფიქრა და მაინც უთხრა: მოახსენე, რომ ესა და ეს არის-თქო.

მოახსენეს. «მოიცადოსო», ებძანებინა. სტუმარს პირს მწარე ღიმილი მოსდის; მოუთმენლად დადის დერეფანში; აგერ ხუთი წამი გავიდა. „ჩხაკ!" კარი გაიღო; სტუმარი შევარდა; თუმცა ბიჭმა დაუძახა: მოითმინეთ, ყმაწვილო, პალტო მოიხსენით, მაგრამ სტუმარმა ბრაგვა შეატაინა. წინ დაუხვდაო, სუფთა და პალმერსტონით ჩაცმული კაცი, რომელსაც წვერი მოსკოველ კუპრებივით ორად გაეყო და უბზინავდა.

— Жена моя, Просковья Митрофановна,

— მოხარული გახლავართ.

— Это сынокъ Митрофанъ.

— პაპის სახელი დაგირქმევიათ... ვგონებ წმინდანიც იყო ამ სახელისა.

— Какъ-же, какъ-же!

— ამ თქვენს ქალაქში ძალიან ცხელებულა, არჩილ!

— Не то еще, хуже будетъ.

სტუმარი გაოცდა, რომ არჩილმა ქართულად ხმა არ გასცა; გაჯიუტდა სტუმარიც.

მოწერილი დედოფალს ჩააბარაო. ის ქაღალდი, რომელიც მიტროპოლიტმა მილანს მისცა და დაჰპირდა, საქმეს აღარ აუშლიო, არ ეწინააღმდეგება და ვერც გააუქმებს სამღვდელოთა კრების გარდაწყვეტილებას, რადგანაც ამ ქაღალდის მიცემა და მიტროპოლიტის დაპირება კერძო საქმეაო.

22 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი სამხედრო მინისტრის სახელობაზე. რესკრიპტი ებობა მინისტრს იმის გამო, რომ შესრულდა ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც იგი მსახურობს აფიცრის ჩინით. ხელმწიფე იმპერატორი, ულოცავს რა ამ გარემოებას, იხსენიებს მის მოღვაწეობას მას შემდეგ, რაც აფიცრად ეოფილა ფინლიანდიის ლეიბ-გვარდიის პოლკში, ვიდრე დაინიშნებოდა მემკვიდრე ცესარევიჩის შტაბის უფროსად. შემდეგ რესკრიპტში სწერია: „იქ, ბოლგაარიის მინდვრებზედ, სადაც იმდენი გასაწირი გასწირა რუსეთმა ამ ქვეყნის გასანთავისუფლებლად და სადაც დიდის ხნის განმავლობაში ერთად ვწევდით ულელს ლაშქრობისასა, პირველად ვცან თვისებანი თქვენის ხასიათისაო, სიმტკიცე, გულ-მართლობა და პირში მთქმელობა. მაშინ პირველად შევმჩნიე და დავაფასე თქვენი შესანიშნავი ნიჭიერებანი, ვრცელი ცოდნა სამხედრო საქმისა და შეურყეველი დიდი ერთგულება სამსახურისა. 1881 წელს, როცა დაგნიშნეთ სამხედრო მინისტრად და მოგანდეთ ერთი მეტად საყურადღებო დარგი სახელმწიფო გამგეობისა, დარწმუნებული ვიყავ, რომ თქვენ იქმნებოდით ისეთი ამსრულებელი, რომელიც სრულის საკსებით შეიგნებდა და განახორციელებდა ჩემს განმრახულებასა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს სამშობლოს ეჭირვება მხედრობა ძლიერი და კეთილ-განწყობილი, რომელიც უნდა იდგეს იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს ეხლანდელი წარმატებულობა სამხედრო საქმისა. ხოლო ეჭირვება არა იმიტომ, რომ ეომოს ვისმე; არამედ მხოლოდ იმიტომ რომ დაიცვას და დაიფაროს მთლიანობა და სახელი რუსეთისა. ვიფარავ რა დაუფასებელსა საუნჯესა მშვიდობისასა, რომელიცა შეწევნითა ღვთისათა იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს გაგვემო რუსეთს, მხედრობა მისი უნდა შედიოდეს წარმატებასა და უკეთესობაში იმდენადვე, რამდენადაც შედის წარმატებაში სხვა დარგნი და შტონი სახელმწიფო ცხოვრებისა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ არ გადავაცილოთ იმ ღონის მიებასა, რასაც გვაძლევს ამ საქმისათვის ყოველ წლიური მატება ერისა და უკეთესობა მისის კეთილ-დღეობისა. ასეთი იყო მუდამ ჩემი ჭეშმარიტი განზრახვანი და რომელთა ნამდვილი და ნიჭიერი აღმასრულებელი თქვენა ხართ ამ ცხრა წლის განმავლობაში. თქვენმა საქმიანობამ და მოსაქმე ჭკუაგონებამ და ცოდნამ სამხედრო საქმისამ და მხედრობის საჭიროებისამან, თქვენმა მზრუნველობამა სამხედრო გამგეობის ყველა დარგთა და შტოთა წარსამატებლად, თქვენმა ხერხიანობამ და მომჭირნეობით სავსე ხელმძღვანელობამ სამხედრო მეურნეობის მრავალ-გვარის საქმეებისამ, დასასრულ თქვენმა დაუღალავმა შრომამა და გარჯამ ქმნა, რომ ასე მოკლე ხანს შესამჩნევად წაიწია წინ ჩვენის მხედრობის მდგომარეობამ და განსაკუთრებით მისმა ბრძოლისათვის მზად-ყოფნამ და, რაიცა უფრო სანუგეშოა, ყოველივე ეს მოხდა ისე, რომ სახელმწიფო ღონის-ძიებათათვის არ მიგიმართავთ და სახელმწიფო ხაზინა მეტის-მეტის ტვირთით არ შეგიწუხებიათ". რესკრიპტში ნათქვამია, რომ მინისტრი ჩარიცხულია ლეიბ გვარდიის ფინლიანდიის პოლკის სიებშიო. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„თქვენი გულითა და სულით მადლობელი და მოყვარული ალექსანდრე".

სამხედრო მინისტრი სამხედრო სამეურნეო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად და უმთავრეს შტაბის საპატიო წევრად ინიშნება.

ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს გრაფ ჰეიდენს უმაღლეს რესკრიპტთან ერთად ებოძა ბრილიანტებით შემკული ხელმწიფე იმპერატორის სურათი.

ვილნის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის ხელ-ქვეითს ვლენს ებოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აპუხტინს უმაღლეს უწყებასთან ერთად ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, ბრილიანტებით შემკული.

23 ივლისი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატრიცას სახელ-წოდების დღეს პარაკლისი და ლიტურგია იქმნა გადახდილი პეტერგოფის დიდის სასახლის ეკკლესიაში საღამოზედ პეტერგოფის პარკი გაჩირაღდნებული იყო და შუშხუნებს ისროდნენ.

გაზეთები ამბობენ, რომ სამხედრო სამინისტროს უმთავრეს გამგეობის აფიცრებმა 12,215 მან. ფული მოჰკრიბეს და სამხედრო მინისტრის იუბილეის სადღესასწაულოდ უნდათ იმის სახელობაზედ სტიპენდია დააწესონ მოსკოვის პირველ კადეტთა კორპუსშიო.

ბერლინი. გუშინ იმპერატორი ვილჰელმი ოსტენდედგან ინგლისში წაბრძანდა, დედოფალ ვიქტორიასთან უნდა მივიდეს დარბაზად.

პარიჟი. რადგან ხოლერაა გავრცელებული ისპანიაში, პორტუგალიის მთავრობამ ისპანიაში მოსიარულე რკინის მატარებლები შეაყენა და სიარულის ნება არ მისცა.

ბერლინი. გუშინ გამოცხადნენ უცხო სახელმწიფოთა დელეგატები იმ საერთაშორისო კრებაზედ დასასწრებლად მოსულნი, რომელსაც გარდაცვალებულთა გვამების დაწვის შესახებ ექმნება სჯა და ბაასი. კრებაზედ მოსულნი არიან დელეგატნი: რუსეთიდგან, იტალიიდგან, ჩრდილოეთ ამერიკიდგან, შვეციიდგან, დანიიდგან, ჰოლანდიიდგან და შვეიცარიიდგან.

---

— პროვინციაში მოწყენით იქნებით, არა სცდილობთ ტფილისისაკენ გადასვლასა! რითი ერთობით, რას კითხულობთ.

— Вѣстимо, что читаешь: «Кавказъ», «Сенатскія Вѣдомости», изъ столичныхъ—«Московскія Вѣдомости».

— დედა თქვენი ვგონებ «ივერიას» კითხულობს, ჩაეკითხა ჩვენი მეგობარი, რომელსაც ადრევ არჩილმა „ნოეს მტრედი" დაარქვა.

— ჰმ! ჰმ! ჩაიღმუვლა ნიშნად იმისა, რომ „კავკაზთან" ქართულს გაზეთს ვინ წაიკითხავსო.

სტუმარმა მეტი ველარ მოითმინა, წამოხტა, თავი დაუკრა და საჩქაროდ გამოვარდა დერეფანში; არჩილმა ჩხაკა გააღინა კარს. დერეფანში შეეფეთა კნეინას, არჩილის დედას, რომელსაც ძველის ნაცნობის დანახვა იამა და გულით მიესაყვარლა.

— ქა, ქა! რომელმა ქარმა გადმოგაგდო; კოტე, კოტე, „ნოეს მტრედისავით" რად მიეშურები, ჩვენთან ისადილეთ, მხიარულად უთხრა კნეინამ.

— გმადლობთ, კნეინა, სხვაგან მივეცი პირობა.

— დარჩებოდი, მეამბნა, როგორ კარგად წავიდა ჩემის არჩილის საქმე; „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო", სწორედ ასე მოუვიდა ჩემს არჩილსაც. ამდენს სიკვდესთან ვუშინ კიდევ გაზეთში იყო ჩაგდებული, რომ ჩემს არჩილს, ენაცვალოს იმის დედის თვალები, ყელზედ ნაშეია მიულია; დილას იყიდა და ჩამოიკიდა.

— ეტყობ, დედი, რომ გაყადისჯორებულა, უთხრა და საჩქაროდ გავიდა. კნეინა პირ-დაღებული დარჩა.

გაიყინა არჩილის ლიბერალობა, წაიშალა სულ ერთიანად. აქ მაგონდება დიდებულის ბერნეს სიტყვები, რომლითაც ამ ამბავს დავასრულებ: „საპატიო ტიტული მესამე საუცხოვო ლითონია. ბევრნი, რომელნიც გაუძლებენ ხოლმე ვერცხლის ძალას, სუსტნი ხდებიან ოქროს წინაშე, ხოლო შემძლებელნი ოქროსთან ბრძოლისა ხშირად ფასდებიან ტიტულის წინაშე. მე ვიცნობ ვინმე მიუნხსა საკმაოდ ნიჭიერს პოლიტიკურს მწერალსა. წინად იგი იყო გულ-მხურვალე დემაგოგი, იმისი ლიბერალიზმი ჩრდილშიაც-კი რეომურის ტერმომეტრზედ ოც-და-ათს გრადუსამდე ადიოდა. ამ რამდენისამე წლის წინად ნიდერლანდის მეფემ უბოძა მას პროფესორობა და მისმა ლიბერალიზმა იმ წუთშივე დაიწია ხუთმეტ გრადუსზე. შემდეგ ვიჰტემბერგის მეფისაგან მიიღო წოდება „ტაინი სოვეტნიკობისა" და აქ მიუნხი გაყინვის წერტილს მიუხალოვდა. ეხლა ის-ღა დარჩენია, მიანიჭონ მას „დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა", რომ ნულს ქვემოდამაც დაიწიოს".

ჩვენ არჩილსაც ასე მოუვიდა და ასე მოსდის ბევრს სხვასაც. ჩინს ისეთი ძალა უპყრია ხელში, რომ ბევრს გადმოუბრუნებს ჭკუას; ჩინიანს უჩინო ბუზად ჰგონია; რამდენიც ზემოდ მიბობღავს ადამიანი, იმდენი გული ეყინება, სხვა-რჯულდება და თავისი ქვეყანა და მისი საქმენი „ფეხებზედ ჰკიდია". *)

კიკია

*) ამ „დღიურის" I და II თავი ამას წინად იყო „ივერიაში" დაბეჭდილი.

# განცხადებანი


საკოსმეტიკო აპერმაცევტული პირის

საწმენდავები

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

აპარმაცევტულ პირის საწმენდავების ხმარების წყალობით სახის კანი სუფთავდება და ნაზდება. ძალიან კარგია გზაში, სადაც სახეს ჭუჭყი და ქარი ხშირადა ჰხვდება. ზამთარში ეს წამალი სახეს სიცივის დახეთქვისაგან ინახავს, კანს ასუფთავებს და სხ. ამ წამლის ყოველთვის თან ტარება ადვილად მოსახერხებელია. თითო შეკვრა ღირს 60 კაპ.; გაგზავნით ორი შეკვრა 2 მან.; 4 შეკვრა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ მხმარებელთ, რომ ყოველს შეკვრაზედ მოიკითხონ ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი წითელის მელნით და მარკა აპტ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება: ს.-პეტერბურგს, ს.-პეტერბურგის საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინი, 38. (5—2)

ოქროს  მედალი 

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—5)



ტფილისის კონკურსი



ვერცხლის.



ოქროს.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

А. А. ТУТАЕВА

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія краски, кисти, масла и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ-დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—11

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მედლებით დაჯილდოვებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირის გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდ ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

მთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106

(208—31)


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melik. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე